თიბისი ბანკი
TBC BANK

ს.ს. "თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალი
JSC "TBC BANK", DIDUBE BRANCH

60/102-02
02.05.2018

სს თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხნის

ს/კ 209437233 დირექტორს ბატონ არჩილ ხომასურიძეს

თქვენს მიერ 2018 წლის 2 მაისს მიღებული წერილის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი" როგორც იპოთეკარი, თანახმაა სს თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხნის ს/კ 01.11.04.003.001 ტერიტორიაზე შენობა 01-ზე ეზოს მხრიდან მოხდეს ე.წ რამპის მიშენება ზომით 58X18მ, რის შემდეგაც მთლიანად შენობა 01-ის ფართი გახდება 3565 კვ. მ.

პასივისცემით

დავით შავიშვილი

ფილიალის წარმომადგენელი

საქართველო, 0119 თბილისი,
წერეთლის გამზ. 117

117 Tsereteli Ave.
0119 Tbilisi, Georgia

ტ/T: (+995 32) 227 27 27
ფ/F: (+995 32) 277 27 74

www.tbcbank.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41353793499317

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171470119

რეგისტრაციის თარიღი

19.12.2017 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ დეკემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის #7, მომმართა სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ პაატა ღამაძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად პაატა ღამაძემ (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, პ/ნ #01023000307, ბარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემს თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ დეკემბერს სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ პაატა ღამაძემ (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, პ/ნ #01023000307 ბარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) სს ,,თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალის დირექტორს ირაკლი კაკულიას (პ/ნ01024019405), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. 'რწმუნებული' ირაკლი კაკულია უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკ"-ს სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული სერვისცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობას და ხელშეკრულებას, მათ შორის, სერვისცენტრის მიერ გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და წასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის გაჯარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება სერვისცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.
2. ამ მინდობილობით ირაკლი კაკულიას ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასთვრამეტი წლის სამი იანვრიდან ორიათასთვრამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.
5. 'რწმუნებულს' უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს) მის მიერ შერჩეულ პირს.

პაატა ღამაძე:

საზღაური: 10.00 ლარი (,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

საქართველო • ნოტარიუსი მედეა გვაზავა • GEORGIA • NOTARY MEDEA GVAZAVA • 01008018186

36/106-00
09.03.2018

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ამ მინდობილობით სს "თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალის ბიზნეს გაყიდვების კოორდინატორს დავით შავიშვილს (პ/ნ 61004020166) შემდგომში "რწმუნებულს" ენიჭება უფლებამოსილება, სს "თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტებს, მათ შორის, წერილებს, ცნობებს, ფილიალის მიერ გაფორმებულ საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ და ჯარიმების შესახებ პატიების შეთანხმებებს; საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივი ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, შეთანხმებას, საკრედიტო პროდუქტებით მომსახურებისა და მის საფუძველზე გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებიდან (იპოთეკის, გირავნობის) წარმოქმნილი შესაძლო დავების შემთხვევაში მისი კერძო არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ, შეთანხმებას, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ კერძო სპეციალისტის მიერ, უზრუნველყოფის გარიგების გაუქმების წერილს, შეთანხმებას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება ფილიალის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

ამ მინდობილობით რწმუნებულს ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს "თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მინდობილობა ძალაშია 2018 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 1 იულისამდე.

ირაკლი კაკულია
დირექტორი